საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლენინური

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 95 (6472) 8 აგვისტო ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეხმარენ საკრებულოს

როგორც ვიუწყებოდით, ამ ცოტა ხნის წინ გაიხსნა სოფელ ლუხვანოს საკრებულოს დახმარების ფონდი, რომლის ანგარიშის № 70047-ია.

აღნიშნულ ანგარიშზე ახლახან ცაგერის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ზ. ჩიქოვანი) 1000 მანეთი გადარიცხა.

მათ, ვისაც გული შესტკივა და ზრუნავს აღნიშნული სოფლის კეთილდღეობისათვის, უნდა დაეხმაროს საკრებულოს, ყველამ უნდა იცოდეს, რომ აღნიშნულ ანგარიშზე ჩარიცხული თანხა ამ სოფლის კეთილმოწყობას, აქაურ მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას მოხმარდება.

სეზონი დავიწყეთ

დიდი ხანი არაა, რაც სასურსათო კომბინატში ხილის მიღებ-გადამუშავების სეზონი დაიწყო. სერიოზული ამოცანის წინაშე დგანან წელს კომბინატის მშრომელები—მიმდინარე სეზონზე ბულ 1475 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია გვაქვს გამოსაშვები. რეალიზაცია უნდა ვუყოთ 1250 ათასი მანეთის პროდუქციას. მარტო ხილის კონსერვები გამოსაშვები გვაქვს 400 ათასი პირობითი ქილა, 35 ათასი დეკალიტრი—უალკოჰოლო სასმელი, 5 ათასი დეკალიტრი—ნედლი სპირტი და სხვა.

ამ დავალების შესრულებას ამთავითვე მონდომება, სეზონისათვის ორგანიზებული მომზადება განსაზღვრავს, მიმდინარე და კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა კომბინატის საამქროებს, მიმდინარეობს სამშენებლო ობიექტების აღდგენითი სამუშაოები, მაგრამ სამშენებლო სამუშაოების ნორმალურად წარმართვას ძალზე აფერხებს სამშენებლო მასალების დეფიციტი. ივლისის ბოლოს ექსპლოატაციაში უნდა გაშვებულიყო ლიმონათის ახალი საამქრო, მაგრამ მშენებლობის ზოგიერთი ნაწილის დაუსრულებლობის გამო ეს საქმე გაჭიანურდა. აღნიშნულ მშენებლობას ქუთაისის მოძრავმექანიზებული კოლონა (უფროსი ა. მაღლაკელიძე) აწარმოებს.

სეზონის დაწყებას ბევრი სიძნელე და პრობლემა დახვდა წინ თითქმის ვერ ვლებულობთ გამოყოფილ ფონდებს—მინის ქილებს, შესაფუთ ტარას, ბაქარს და სხვა ძირითად საშუალებებს. შეფერხებებია ასევე დამხმარე მასალებით მომსახურებაშიც.

რაც შეეხება 7 თვის საგეგმო დავალებათა შესრულებას—შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 97 ათასი მანეთი იყო, ფაქტიურად გამოშვებულ იქნა 99,5 ათასი მანეთის პროდუქცია, რეალიზაციის გეგმა 800 ათასი მანეთი იყო, ფაქტიურად კი რეალიზებულ იქნა 1125 ათასი მანეთის პროდუქცია. გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 48,8 ათასი მანეთი უნდა დამჯდარიყო და ფაქტიურად 48 ათასი მანეთი დაჯდა. დანახარჯი ყოველი მანეთის პროდუქციაზე 59,2 კაპიკია და მოგებამ 15 ათასი მანეთი შეადგინა.

ამჟამად სასურსათო კომბინატში კურკოვანი ხილის მილების სეზონია დაწყებული, დღეისათვის უკვე 26 ტონა კურკოვანი ხილია მიღებული, სულ კი გეგმით სეზონზე 500 ტონა კურკოვანი ხილი უნდა მივიღოთ, თუ ამჟამად არსებულ სიძნელეებს თავი დავაღწიეთ სულ ადვილად შეიძლება, რომ კურკოვანი ხილის მიღების საგეგმო დავალება შესრულდეს.

კომბინატში კვლავ მიმდინარეობს ნედლი სპირტის გამოხდა, რასაც მარნეულის სასურსათო კომბინატს ვაბარებთ, ეს უკანასკნელი კი მის საბოლოო გადამუშავებას და ჩამოსხმას აწარმოებს. 96 გრადუსიანი ნედლი სპირტის განზავებით აქ „თამარისს" და „უშბას" ასხამენ, დიდძალ მოგებასაც ნახულობენ. კომბინატის ხელმძღვანელობის მიერ შედგენილია გეგმა, რომლის მიხედვით უნდა შემოვიტანოთ დანადგარები, თვითონვე მივცემთ პროდუქციას საბოლოო სახეს და ადგილზე ვაწარმოებთ სპირტიანი სასმელების ჩამოსხმას.

ცაგერის სასურსათო კომბინატისათვის აუცილებელია ქ. ქუთაისის სარკინიგზო სადგურთან გაიხსნას საკუთარი ჩიხი და სასაწყობო მეურნეობა, რადგან მანძილის სიშორის გამო არ ხერხდება ჩამოტანილი ტვირთის ვაგონებიდან დროული გადმოტვირთვა-გადმოზიდვა, რის გამოც ორგანიზაციას დიდძალი ჯარიმების გადახდა უხდება. ამის შესახებ წერილობითი მიმართვა გაეგზავნა ქ. ქუთაისის პრეფექტურას, მოლაპარაკებაც იყო და საქმე უახლოეს პერიოდში დადებითად უნდა გადაწყდეს.

ახე რომ, სიძნელეების მიუხედავად პერსპექტივაში ბევრი რამ გვაქვს გადასაწყვეტი და ბრძოლით, მონდომებით, მოძრაობით და მხოლოდ მოძრაობით თუ შევძლებთ ყოველივე იმის გაკეთებას, რასაც ჩვენ ვესწრაფვით.

შ. კუხალაშვილი,
სასურსათო კომბინატის დირექტორი

ადამიანები

*

კარგი ყანა ვისია?

ამბობენ, მაძღარი ოჯახი ქვეყნის სიმდიდრეაო. მდიდარია ოჯახი, მდიდარია ქვეყანაც. ამიტომაცაა ესოდენ მნიშვნელოვანი თუ ვინ, როგორ ირჯება საკუთარი ოჯახის სიმდიდრისათვის, ეკონომიკური პრობლემების გაჯანსაღებისათვის.

შინ და გარეთ მოუსვენარი, სოფელში პატიოსან შრომაში გამორჩეული ქალი, ასე იცნობენ უსახელოელ გოგუცა სემინარის ასულ ხეცურიანს. თავისი ცხოვრება შრომაში გაატარა. მაგრამ, რომ ჰკითხოთ გასამრჯელოზე, გეტყვის, რასაც ვშრომობდი, საზღაურს ამაზე ბევრად ნაკლებს ვიღებდიო. იჯარულმა შრომამ შემოაბრუნა გლეხი მიწისაკენ, კარგმა მოსავალმა გული გაუკეთა, შრომას ბარაქა დაედევნა.

—ნეტავ წინათაც ასეთი ანაზღაურება ყოფილიყო, ნატრობს ექვსათეულ წელს გადაცილებული შაოსანი ქალი. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ყოველ წელს სიმინდისა და ყურძნის ბარაქიან მოსავალს ღებულობს. მართალია მეუღლე დაკარგა, მაგრამ ამ დარდს სწორედ შრომა უმსუბუქებს, 1800 კვადრატული მეტრი ვენახისა და 3400 კვადრატული მეტრი სიმინდის ყანის მოვლაში, აბრეშუმის გამოკვებასა თუ ბაღ-ბოსტანში შრომას ატანს კაეშანს.

—შრომამ უნდა იხსნას საქართველო—ამბობს ქალბატონი გოგუცა. —ეკონომიკურად უნდა გავძლიერდეთ და ამაში ყველამ უნდა შეიტანოს თავისი წვლილი, მოხუცმაც და ახალგაზრდამაც.

ალალად ნათქვამი ამ სიტყვების დასტური მისი ზვარი და ყანაა, ნაშრომი ხელებია.

—რომ მიუსაჯო არ იშრომოო, ვერ გაჩერდება, არ შეუძლია, მისი სტიქია გარჯაა,—გვიხსნის უსახელოს საკრებულოს თანამშრომელი ვერა გუგავა.

სოფელში რომ ცხოვრობ, მწარმოებელი უნდა იყო და არა მომხმარებელი, სტუმრის მოსვლის არ უნდა გეშინოდეს, იტყვის ხშირად გოგუცა. მართლაც რაც ოჯახს სჭირდება, ყველაფერია მის ოჯახში, ძროხა, ღორი, ქათამი, სავსე ქვევრი და ნალია.

შრომობს ხანდაზმული ქალი, ქვეყანაზეც ფიქრობს, ჩემზე, შენზე, თქვენზე. ცდილობს თავის მეურნეობაში იმდენი მოიწიოს თავისი ოჯახიც დაკმაყოფილოს და ცოტა ქვეყანასაც უწილადოს, რომ თავისი წვლილი შეიტანოს რესპუბლიკის სასურსათო პრობლემის გადაწყვეტაში, პატარა წვლილი, მაგრამ იჯარაში ჩაბმული ყველა ოჯახი რომ ასე მოიქცეს, ხალხს, სურსათი ექნება, ასე ფიქრობს ხანდაზმული მშრომელი ქალი გოგუცა ხეცურიანი.

გ. კაპკაპაშვილი.

ღეჩხუმის კურორტებზე

ზუსტად არავინ უწყის პირველად როდის და ვის მიერ იქნა აღმოჩენილი ლაძგვერიის მინერალური წყალი, მაგრამ როცა დაინტერესებულმა ადამიანებმა ხელოვნურად გაათბეს, აბაზანებად და სასმელად გამოიყენეს, მხოლოდ საკუთარი აზრი და გამოცდილება დაედო საფუძვლად ხალხში გაბნეულ აზრს ლაძგვერიის მინერალური წყლის სამკურნალო თვისებებზე.

მას შემდეგ, რაც თბილისში კურორტოლოგიის ინსტიტუტში წაიღეს წყალი გასასინჯად და მისი სამკურნალო თვისებების გამოსაკვლევად, კურორტის კეთილმოწყობას, ხალხის სამსახურში ჩაყენებას ხელი მოჰკიდა და იქაურობას პატრონად გაუჩნდა კოოპერატივი „ლაძგვერია", რომლის თავმჯდომარეა როლანდი მანდარია. კოოპერატივის წევრები ძალზე მონდომებით შეუდგნენ საქმეს და უმოკლეს ვადაში შეძლეს აეშენებინათ საბაბაზანო და სასადილო, საცხოვრებელი და დასასვენებელი კოტეჯები. სულ მეორე წელია, რაც მოქმედებს, მეორედ მიიღეს დამსვენებელი. ლამაზი და მიმზიდველია ირგვლივ მწვანეში ჩაფლული კურორტი. ცხოვრება გაძვირდა და ამასთან დაკავშირებით წლევანდელი სეზონი 22 მანეთი გახდა დღე-ღამეში, მაგრამ ის, ვინც კარგად იცის სხვაგან, სხვა კურორტებზე რა სიძნელეებია, კმაყოფილია და შედარებით იაფიაო, ამბობს.

30 ივლისს ადგილზე შევხვდით კურორტის დამსვენებლებს. ვიდრე მათ ცალ-ცალკე გავესაუბრებოდით, კურორტის გამგემ კაკო სილაგაძემ გაგვაცნო სეზონის მიმდინარეობა, შევსებას 5 აგვისტოდან ელოდებიან, იმ პერიოდში კი 23 დამსვენებელი იყო. სულ კი ერთდროულად 45 დამსვენებელს შეუძლია დაისვენოს ამ პატარა, მაგრამ კარგი მომავლის მქონე კურორტზე. ექიმს ყოველდღე ელოდებიან, მანამ კი დამსვენებლებს ექთანი ნუნუ მანდარია უწევს სამედიცინო მომსახურებას.

გაამოთ, ფამლად გერგოთ

წელს მშენებლობა იყო გათვალისწინებული, შედგა ხარჯთაღრიცხვა, პროექტი, მშენებლობა საკუთარი თანხებით უნდა ეწარმოებინათ, მაგრამ მშენებლობის ხარჯი 112 ათასი მანეთიდან 224 ათას მანეთამდე გაიზარდა, კურორტს ამის საშუალება ჯერჯერობით არა აქვს და კურორტის ტერიტორიაზე 95 ადგილიანი, ორსართულიანი კაპიტალური შენობის მშენებლობა დროებით შეჩერდა. კურორტს საკუთარი ავტობუსიც ემსახურება, ამჟერად მსურველები სოფელ ლუხვანოში მოგროვდა, ავტობუსი დღეში ერთხელ მივა ამ სოფელში, დაიტვირთება, წაიყვანს მგზავრებს, მიიღებენ აბაზანებს, და დღის 5 საათზე უკან წამოიყვანს.

აქ ძირითადად მოდიან ისინი, ვისაც სახსრების დაავადება, კუჭის მუავიანობა, თავის ტკივილები, მაღალი წნევა აწუხებთ, გავესაუბრეთ დამსვენებლებს—სოფელ ჩქუმში მცხოვრებ პენსიონერ პედაგოგს ნიურა მამარდაშვილს, მის თანასოფელს ეუეუნა ბენდელიანს, სოფელ ისუნდერში მცხოვრებ ოლია მანდარიას, მზია სალინაძეს, რომლებიც კმაყოფილებას გამოთქვამენ კურორტის მომსახურე პერსონალის მიმართ და აცხადებენ, რომ,—ამიერიდან სამკურნალოდ და დასასვენებლად რაღა შორს წავიდეთ, როცა აგერ, ჩვენს მიწაზე, ჩვენთან ახლოა სასმელი და საბაბაზანო წყალი, ასე გულუხვი და გულღია მასპინძლებთო.

საკურორტო ქალაქ წყალტუბოდან არიან მოსული დამსვენებლები ჯიმშერ შურა, ქეთო ბენიძეები, ჯუმბერ ნოზაძე, რომლებიც რამდენიმე აბაზანის შემდეგ თავს უკეთესად გრძნობენ და კმაყოფილებას გამოთქვამენ კურორტის მომსახურებით, სრულფასოვანი კვება დღეში სამჯერადი, ახალი ხორცი, კარაქი. ის, რაც სხვაგან არაა, აქა აქვთო.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ქალაქ ცაგერის საკრებულოში

ქალაქ ცაგერის საკრებულოს მორიგმა სესიამ განიხილა საკითხი „ქალაქში სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვის შესახებ“.

სესიაზე აღინიშნა, რომ კვლავ სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევებია ქალაქში სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვის საქმეში. ქალაქის ქუჩებში, წარმოება-დაწესებულებათა ეზოებში, სკვერებსა და ბაღებში, კვლავ უსუფთაობაა. არ არის საკმარისი რაოდენობის ნაგვის ჩასაყრელი ჭურჭლები, ამიტომ ნაგავი პირდაპირ ქუჩებში და ეზოებში იყრება, რასაც ანიავებს მოხეტიალე ძაღლები და ღორები, იქმნება ანტისანიტარია. ამავე დროს საწვავის თუ ავტომანქანების უქმარისობის გამო მრავალდარგოვანი საბინაო კომუნალური მეურნეობა ვერ უზრუნველყოფს ნაგვის გატანას. თვით წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები არ აქცევენ ყურადღებას ეზოებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე სისუფთავის დაცვას. კიდევ მეტი, ქალაქის მცხოვრებთა ერთი ნაწილი თვით ანაგვიანებს მიმდებარე ქუჩებს, კეჭნარის არხს, მდინარე ცხენისწყლის სანაპიროს. არაფერი კეთდება ქალაქის იერსახის შეცვლისათვის. ქალაქის მეტ წილ წარმოება-დაწესებულებათა შენობებს, სავაჭრო ობიექტებს არა აქვთ აბრები, ზოგან თუ არის — მოძველებული.

სესიამ განხილულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებით დააწესა ფულადი ჯარიმა სანიტარულ-ჰიგიენური წესების დარღვევისათვის. კერძოდ, ქალაქში მცხოვრებ მოქალაქეებზე 10 მანეთის, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებზე — 30 მანეთის ოდენობით.

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება — „უმეთვალყურეოდ გამოშვებული პირუტყვის აკრძალვის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“, რომლითაც დაევალა მრავალდარგოვანი საბინაო კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელებს ქალაქში მოხეტიალე პირუტყვი, რომელიც დაჭერილი იქნება, პატრონის არ გამოცხადების შემთხვევაში 36 საათის შემდეგ ჩააბაროს სასაკლაოს და მეპატრონეს აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება ყველა წესის დაცვით.

სესიამ ცაგერის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია მრავალდარგოვანი საბინაო კომუნალური მეურნეობის უფროსი მურად მიქაძე.

დახურული (ფარული) კენჭისყრით ქალაქის საკრებულომ გამგეობის წევრებად აირჩია გურამ ჩარკვიანი, მზევინარ ძნელაძე, რეზო გუგავა, ონერი ნემსწვერიძე, სოსო თვარაძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გაითვალისწინა მოსახლეობისათვის სარეალიზაციო საქონელზე გაყიდვიდან 5 პროცენტით გადასახადის გაუქმების რეალიზაციისას მომწოდებლებზე ადრე გადახდილი გაყიდვიდან გადასახადის თანხები ანაზღაურდება სხვა საქონელზე გამოანგარიშებული გადასახადი თა-

ფასები, ფასები...

შედეგად სისტემის დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში მომწოდებლისათვის გადასახადის თანხის ოდენობით წარმოქმნილი ზარალი და დააწესა მომწოდებლებზე ადრე გადახდილი გაყიდვიდან გადასახადის თანხების ანაზღაურებისა და მოსახლეობისათვის სარეალიზაციო ზოგიერთ საქონელზე გაყიდვიდან 5 პროცენტიანი გადასახადი.

გაყიდვიდან გადასახადით დაუბეგრავი საქონლის ნხების შემცირების ხარჯზე, ხოლო ამ თანხების უკმარისობისას საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების მოგება-ზარალის ანგარიშზე.

გთავაზობთ მოსახლეობისათვის სარეალიზაციო საქონლის ნუსხას, რომელზეც გადაიხდება გაყიდვიდან 5 პროცენტი გადასახადი:

პარფიუმერია-კოსმეტიკის საქონელი (იმპორტული), არასასურსათო საქონელი (იმპორტული), ცხვრის ტყავ-ქურქის ნაწარმი, [illegible] ის ნაწარმი, [illegible] ბეწვი, საათები, [illegible] მანქანები, [illegible] ნაწილები, [illegible] სოვი მანქანები, სათადარიგო ნაწილები და მათი კუთვნილებები. ფოტოკინოსაქონელი, ნავთობპროდუქტები, რადიოსაქონელი და მათი კუთვნილებები, მოტოციკლები, მოტორელები, ველოსიპედები და მათი სათადარიგო ნაწილები, ავტომანქანები და მათი სათადარიგო ნაწილები ელექტროსაქონელი, ფაიფურ-ქაშანაურის და მაიოლიკის ჭურჭელი, ხე-ტყის პროდუქცია, ფანერი, ხის ფილები, ოქროს, ვერცხლის პლატინის საიუველირო ნაწარმი და თვლები, საშენი მასალები.

სოფლის მეურნეობა — ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგი

არ დაუჯეროთ იმათ, ვინც ამბობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის როლი მცირდება.

ამერიკის ფერმებში ამჟამად ქვეყნის მთელი მუშა ხელის 3 პროცენტია დაკავებული და ეს ფერმები ქვეყნის მთლიანი ეროვნული პროდუქტის 1,4 პროცენტს იძლევიან, იუწყება ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეკონომიკური კვლევის სამსახური.

სასურსათო და ბუნებრივი ბოჭკოს წარმოებაზე მოდის მთელი ეროვნული პროდუქტის 15,8 პროცენტი, და ამით დაკავებულია სამუშაო ძალის 17 პროცენტი. კიდევ მთლიანი ეროვნული პროდუქტის 9,2 პროცენტს იძლევიან ისინი, ვინც იცავს, გადაამუშავებს, ამზადებს, გააქვს და ანაწილებს საკვებპროდუქტებსა და ბუნებრივ ბოჭკოს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 2,5 მილიონამდე ფერმერი, დაქირავებული ფერმერი და სოფლის მუშაკია. ეს ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში დაკავებული 21 მილიონი ადამიანის 11,7 პროცენტს შეადგენს.

1950 და 1960 წლებში ამერიკის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი ყოველწლიურად საშუალოდ 4 პროცენტით იზრდებოდა და 1970-იან წლებში 10 პროცენტი შეადგინა, ამ ხნის განმავლობაში ფულადი გამოსახულებით იგი ხუთჯერ გაიზარდა.

1989 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 40 მილიარდი დოლარის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გაიტანა.

დაზღვეულთა და დამაზღვევეელთა საყურადღებოდ!

გთავაზობთ სასარგებლო ცვლილებებს

იმ მოქალაქეებს, რომლებსაც გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები სიცოცხლის გრძელვადიანი, ბავშვთა საქორწინო და დამატებითი პენსიის დაზღვევის სახეობებში, საკომპენსაციო თანხა განესაზღვრებათ 1991 წლის 1 მარტამდე გადახდილი დაზღვევის შესატანების საერთო თანხის 40 პროცენტის ოდენობით, რომელშიც იგულისხმება:

ა). ბავშვთა დაზღვევის ხელშეკრულებები, რომლებიც მთლიანადაა შესატანებით დაფარული შესატანების შემცირებულ პერიოდში გადახდის პირობით.

ბ). საქორწინო დაზღვევის ის ხელშეკრულებები, რომლებითაც შეწყვეტილია შესატანების გადახდა დამაზღვევლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ან რომელთა მიხედვით უკვე დამთავრდა შესატანების გადახდა, მაგრამ არ დამდგარა სადაზღვევო თანხის გაცემის ვადა.

გ). მოქმედი და პროლონგირებული (ვადაგაგრძელებული) ხელშეკრულებები მოქალაქის გარდაცვალებისა ან შრომის უნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში.

დაზღვევის შესატანებზე კომპენსირება წარმოებს 1991 წლის 1 მარტამდე მოქმედი პირადი დაზღვევის ყველა გრძელვადიან ხელშეკრულებებზე, აგრეთვე აღნიშნულ თარიღამდე დამთავრებულ დაზღვევის იმ ხელშეკრულებებზეც, რომლებიც შეწყვეტილია დამაზღვევლის I ან II ჯგუფის ინვალიდობის მიკუთვნებასთან დაკავშირებით, მაგრამ შესატანები არ არის დაბრუნებული.

1991 წლის 31 მარტსა და 30 აპრილს დამთავრებულ იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა მიხედვითაც დაზღვეულებმა უკვე მიიღეს სადაზღვევო თანხები, კომპენსაციის დარიცხვა წარმოებს ანალოგიური წესით.

იმ შემთხვევაში, თუ დარიცხული კომპენსაციის თანხა არ აღემატება 200 მანეთს ან დაზღვევის ხელშეკრულების ვადა მთავრდება 1994 წლის 1 მარტის შემდეგ, მაშინ მისი გაცემა მოხდება ერთდროულად სადაზღვევო თანხის გაცემისას — გრძელვადიანი ხელშეკრულების ვადის დამთავრების შემდეგ. ხოლო დამაზღვევლის გარდაცვალების შემთხვევაში პირველი (ან მორიგი) თვიური პენსიის გაცემისას, აგრეთვე შესატანების დაბრუნებისას დაზღვევის იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც ვადამდეა შეწყვეტილი დამაზღვევლის I ან II ჯგუფის ინვალიდობის მიკუთვნებასთან დაკავშირებით თანხის გაცემა იწარმოებს 1991 წლის 1 აგვისტოდან.

200 მანეთზე მეტი საკომპენსაციო თანხების გაცემა იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა მოქმედების ვადა მთავრდება 1994 წლის 28 თებერვლამდე, იწარმოებს 1994 წლის 1 მარტიდან ამ თანხებზე წლიური 7 პროცენტის დამატებით, ხოლო 0,6 პროცენტით არასრული წლის ყოველ იმ თვეზე, რომელიც გასულია დაზღვევის ხელშეკრულების დამთავრების მომენტიდან 1994 წლის 1 მარტამდე.

დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში, კომპენსაცია 200 მანეთამდე ოდენობით გაიცემა სადაზღვევო თანხის გაცემასთან ან შესატანების დაბრუნებასთან ერთად, ხოლო იმ ხელშეკრულებებზე, რომლებზეც დარიცხულია 200 მანეთზე მეტი, კომპენსაცია სადაზღვევო თანხათა მიმღებად დანიშნულ პირებზე გაიცემა დადგენილი ფორმის ცნობები და საკომპენსაციო თანხების გაცემა იწარმოებს 1994 წლის 1 მარტიდან ამ თანხებზე წლიური 7 პროცენტის დამატებით ყოველ სრულ წელიწადზე და 0,6 პროცენტით — არასრული წლის ყოველ იმ თვეზე, რომელიც გასულია დაზღვევის ხელშეკრულების დამთავრების მომენტიდან 1994 წლის 1 მარტამდე.

იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მისაღებად 1994 წლის მარტში მიმართა არა იმ პირმა, ვის სახელზედაც იყო გაფორმებული ცნობა, კომპენსაციის გაცემა იწარმოებს მემკვიდრეზე, რომელიც წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მემკვიდრეობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

1991 წლის მარტის შემდეგ გამოსასყიდი თანხების მიღებისას დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში (მიზეზისაგან დამოუკიდებლად) საკომპენსაციო თანხები არ გაიცემა.

ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ დაზღვეულ მოქალაქეთა პირადი ანგარიშების გადაფასება და საკომპენსაციო თანხების დარიცხვა ამჟამად მიმდინარეობს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციაში, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ დაწვრილებითი ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე.

სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები მყარ ეკონომიკურ გარანტიას იძლევიან სადაზღვევო ხელშეკრულებით განპირობებული თანხის გაცემაზე.

ცაგერის რაიონის სახდაზღვევის ინსპექციის მიერ იმ მოქალაქეების სასარგებლოდ, რომლებიც პირად დაზღვევაში არიან ჩაბმული, აღნიშნული წესის გათვალისწინებით 400 ათას მანეთზე მეტი მანეთი დაერიცხათ.

მოქალაქენო, ისარგებლეთ დაზღვევის სიკეთით.

ჯ. ჩიკვაიძე,
ცაგერის რაიონის სახდაზღვევის ინსპექციის უფროსი.

გაამოთ, წამლად გერგოთ

(დასასრული)

აქვე შევხვდით ქალაქ სოხუმის მახლობლად მდებარე სოფელ კელასურში მცხოვრებ 50-ან წლებში სოფელ ლუხვანოდან გადასახლებულ 39 წლის მოხუცს ნინა ბენდელიან-კოპალიანს, რომელიც მკურნალობის სურვილთან ერთად მშობლიურ მიწაზე ნოსტალგიასაც მოეყვანა.

— ხონის რაიონის სოფელ მათხოჯში ვცხოვრობ. ამ სეზონზე მეორეთ მოვედი, ჯერ დედასთან ერთად ვიყავი, ის წავიყვანე, ახლა მამა და შვილი მოვიყვანე, მამა 77 წლისაა, მოძრაობა უჭირს, მე-6 აბაზანის შემდეგ უკეთესად გრძნობს თავს, გვითხრა ნათია ფირცხალაავამ.

ამ პაპანაქება ზაფხულში, როცა პრობლემებითა და სიძნელეებით აღსავსეა ჩვენი ცხოვრება, სასიამოვნოა, რომ ადამიანები მაინც ნახულობენ დასვენების, ჯანმრთელობის აღდგენის დროს. კეთილი, გულღია და თბილი მასპინძლობა ამაღლებს მათ გუნება-განწყობილებას.

ღმერთმა გაამოთ, წამლად გერგოთ ლეჩხუმის მკერდზე მოჩუხჩუხე ეს მინერალური წყალი.

ჯ. მანდარია.
გ. ბაქრაძე.

მიზეზები?— ობიექტურიც, სუბიექტურიც

ჩვენი გაზეთი სპეციალური კორესპონდენტი შეხვდა კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის უფროსს იური ჭაბუკიანს და რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

—ბატონო იური გაზეთის რედაქციას რაიონის თითქმის ყველა რეგიონიდან სწერენ კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რით შეიძლება აიხსნას ეს?

—ცაგერის რაიონს კავშირგაბმულობის საშუალებებით ემსახურება ერთი რაიონული კვანძი და კავშირგაბმულობის 15 განყოფილება. რაიონული კვანძი ქვემდებარე განყოფილებებით მოსახლეობას ემსახურება: საფოსტო, სატელეფონო, საქალაქთაშორისო, ქალაქისა და სოფლის სატელეფონო კავშირებით, რადიომაუწყებლობით.

რადიოსა და ტელეფონის მუშაობაში არის რიგი სერიოზული ნაკლოვანებები, რომელიც განპირობებულია ბევრი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით. ობიექტური მიზეზებია ის, რომ სუსტია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კვანძი იმყოფება ცნელ ეკონომიკურ პირობებში. 1987 წლის შემდეგ არ მიგვიღია საყრდენი ბოძები და საჭირო რაოდენობის კაბელი. 1987 წლის სტიქიურმა მოვლენებმა დიდთოვლობამ თითქმის 80 პროცენტით გაანადგურა რადიოსა და ტელეფონის სახაზო და საკაბელო მეურნეობა. ჯერ კიდევ არ გვქონდა აღდგენილი 1987 წლის ზარალი, რომ 1989 წლის წყალდიდობებმა და შემდგომ ძლიერმა მიწისძვრებმა ზარალი და ნგრევა უფრო გააძლიერა. მიმდინარე რემონტებისათვის საჭირო მასალების 10 პროცენტსაც ვერ ვღებულობთ. ახალ დანადგარებსა და მოწყობილობებზე ლაპარაკი ბრძ ზედმეტია. ჩვენი შემოსავლები არ ყოფნის მუშა-მოსამსახურეთა ხელფასებს. არ გვაქვს მოგება, მოგების გარეშე კი დღევანდელ პირობებში, როგორც სამეურნეო ანგარიშზე გადასულები ვერ — ვახერხებთ რაიმეს შეძენას.

იმის გამო, რომ რაიონი არის მთაგორიანი და დასახლება გაბნეულია, კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურება მოითხოვს დიდ დანახარჯებს, ამიტომ კვანძის ყველა ქვემდებარე განყოფილება არის არარენტაბელური. არარენტაბელური საწარმო დღევანდელ პირობებში უნდა დაიხუროს. ასეთ შემთხვევაში მოსახლეობას უნდა შეუწყდეს მომსახურება, რაც წარმოუდგენელია ჩვენი ცხოვრების არსისათვის. რომ ყველა განყოფილება გახდეს რენტაბელური, უნდა გავზარდოთ მომსახურების გადასახადი, რომელიც დიდ წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული.

სუბიექტური მიზეზებია ის, რომ ტექნიკური დარგის მუშაკები სრულად ვერ ფლობენ არსებულ ტექნიკას. განსაკუთრებით სოფლის განყოფილებებში მომუშავე პერსონალი ნორმალურ ექსპლუატაციას ვერ უწევს არსებულ მოწყობილობა-დანადგარებს, რასაც ემატება ზოგიერთი მათგანის დაბალი პასუხისმგებლობა. მომუშავე ტექნიკური პერსონალის აბსოლუტური უმრავლესობა პრაქტიკოსია და არ აქვთ საფუძველი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ანაზღაურების დაბალი დონე და რთული მუშაობის პირობების გამო ახალგაზრდობა ერიდება ჩვენს სისტემაში მუშაობას.

—მიმდინარე წელში სად და რა სამუშაოები გატარდა რადიო და სატელეფონო კავშირებით მომსახურების გაუმჯობესებისათვის?

—კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის მიერ მიმდინარე წელში ჩატარებული იქნა სატელეფონო კავშირისა და რადიო მომსახურების გაუმჯობესებისათვის რიგი სამუშაოები. აღდგენილი იქნა 10 კილომეტრი სატელეფონო ხაზი კურორტ ლაშიჯალასთან. ამჟამად მიმდინარეობს სატელეფონო კავშირის შიდა ქსელის აღდგენა სოფელ ტვიშის ტერიტორიაზე, სადაც მივლინებული გვყავს ცაგერის, ორბელისა და ლაჯანის კავშირგაბმულობის განყოფილებების მუშაკები, რომლებიც მესამე კვირაა დაძაბულად მუშაობენ და ტვიშის სატელეფონო ქსელი 10 აგვისტოსათვის აღდგენილი იქნება.

გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ ტვიშის საკრებულოს ხელმძღვანელები გვპირდებიან დახმარებას მუშა ხელით, მაგრამ არავინ არ გვეხმარება. ისიც უნდა ითქვას, რომ ტექნიკური პერსონალის მოუნდომებლობამ, შეიძლება ითქვას ზოგიერთი მათგანის უპასუხისმგებლობამ მტკივნეული დაღი დაასვა ტვიშის მოსახლეობის სატელეფონო კავშირითა და რადიო მომსახურების საქმეს. ისინი შეიცვალენ სხვა მუშაკებით. ჩვენ ამ დღეებში აღვადგენთ ტვიშის საკრებულოს ტერიტორიაზე სატელეფონო კავშირებს და დავძენთ, რომ თუ ამჟამად მომსახურე ტექნიკურმა პერსონალმა საკრებულოსა და ხალხის დახმარებით ვერ უზრუნველყო ქსელის და სადგურის სწორი ექსპლოატაცია, მაშინ ჩვენს მიერ გაწეული ამდენი შრომა წყალში ჩაიყრება და მოსახლეობას არ ექნება სატელეფონო კავშირი.

—რა არის იმის მიზეზი, რომ უხეშად ირღვევა ტელეფონებისა და რადიოს დაზიანების გასწორება-აღდგენის ვადები?

—ტელეფონებისა და რადიოს დაზიანებათა აღდგენის ვადების დარღვევა გამოწვეულია საჭირო მასალების უქონლობით და მცოდნე, უნარიანი სპეციალისტების ნაკლებობით. ამას ემატება ისიც, რომ ხელოვნურად გვიზიანებენ ხაზებსა და კაბელებს. დიდი დაზიანებებია ქალაქის ქსელში, რადგან ქსელი მოძველებულია, გამოცვლის საშუალება კი არ გვაქვს. ადგილი აქვს ავტომანქანებით გაბარიტების დარღვევით ტვირთის გადატანით (საკვები, ნამჯა და სხვა) ხაზების დაზიანებას, ხალხის მიერ ხაზების ხელყოფას. ცაგერის ჭალაზე კერძო პირთა მიერ დაპტვირთველით მიწის აღების დროს რამდენჯერმე გაგვიგლიჯეს შემაერთებელი კაბელი ცაგერ-ლასურიაში-აღვი, ნაკურალეში, ტვიშის კავშირების. აღვი-ნაკურალეშის მონაკვეთზე ბოძებზე ჩამოჭრეს და მოიპარეს 200 მეტრი კაბელი. ასეთი და სხვა უმსგავსებანი გვიქმნის დიდ სიძნელეებს და აჭიანურებს დაზიანებათა აღდგენის საკონტროლო ვადებს. ამასთან დაზიანების აღდგენის გაჭიანურება ჩვენი მუშაკების მოუნდომებელი მუშაობის შედეგიცაა.

—წინათ „4“-ისა და „8“ კოდების მეშვეობით მოგვარებული იყო თბილისთან და ქუთაისთან პირდაპირი კავშირები, დღეს ეს კოდები არ მუშაობს, რას მივაწეროთ ეს?

—წინათ ჩართული გვქონდა „4“ და „8“ კოდები თბილისთანაც და ქუთაისთანაც, დღეს ისინი მოხსნილია იმის გამო, რომ აღნიშნული კოდები ჩართული იყო მხოლოდ რამდენიმე ტელეფონზე, რადგან არ იყო ყველას ჩართვის ტექნიკური საშუალება შემაერთებელი სატელეფონო არხების უქონლობის გამო, ხოლო ჩვენი ავტომატური ტელეფონის სადგური ტექნიკურად არ იძლევა შეზღუდვის სრულ გარანტიას, ამიტომ ადგილი ჰქონდა კლიენტების გაპარვებს აღრიცხვის გარეშე და იკარგებოდა შემოსავლები. იძულებული შევიქენით მომსახურების ეს სახე გაგვეუქმებინა, რადგან წამგებიანი იყო. რის სამაგიეროდაც გავუშვით ახალი ნახევრადავტომატური საქალაქთაშორისო კავშირი.

—რატომ ხდება ქალაქად და სოფლად პრესისა და საფოსტო გზავნილებათა ადრესატებთან დაგვიანებით მიტანის შემთხვევები?

—ვერ ვუარყოფთ, რომ ადგილი აქვს პრესისა და სხვა საფოსტო გზავნილებათა ადრესატებზე დაგვიანებით ჩაბარების შემთხვევებს, რაც ძირითადად გამოწვეულია ქუთაისიდან ფოსტის დაგვიანებითა და დაგროვილი ფოსტის მოტანით. თუ რამდენიმე წლის წინათ ფოსტა მოდიოდა ქუთაისიდან ხუთშაბათ-ოთხშაბათ-ოთხშაბათ-ოთხ

ჩვენი სამედიცინო ლექტორიუმი

ბავშვთა სიმსუქნე და ჯანმრთელობა

სიმსუქნეს იწვევს ბევრი მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ორგანოს მოქმედების დარღვევა. იგი აწუხებს გულს, აუარესებს სუნთქვას. სიმსუქნე ხშირად იწვევს შაქრიან დიაბეტსაც.

ბავშვთა სიმსუქნის ერთ-ერთი მიზეზია მემკვიდრეობითი მიდრეკილება. მისი ძირითადი მაჩვენებელია ზედმეტი წონა მშობიარობამდე. ამიტომ ორსულობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ კვებას. ზედმეტი კილოგრამები გროვდება ტკბილეულის, ცომეული კერძების ბოროტად გამოყენებით. მაძღრად ჭამით ძილის წინ. ადრეულ ასაკში ბავშვისათვის ზედმეტის ჭმევა შეიძლება მას ჩვევად იქცეს შემდეგ წლებში. ბავშვთა აქტიური მოძრაობის შემცირებაც აგრეთვე ხელს უწყობს ზედმეტი სიმსუქნის დაგროვებას ორგანიზმში.

როგორ ვუმკურნალოთ სიმსუქნეს? უპირველეს ყოვლისა საჭიროა კონსულტაციისათვის მივმართოთ ექიმს. მენიუდან გამოვურიცხოთ გემრიელი სანელებლები, მკვეთრად შევუზღუდოთ მარილი და ცხიმეული, შაქარი, თაფლი, მურაბა, და საკონდიტრო ნაწარმი მხოლოდ მცირე რაოდენობით უნდა მივცეთ. სამაგიეროდ რეკომენდებულია ბოსტნეული, მათ შორის უმად, რძემჟავა პროდუქტები, მჭლე ხორცი, თევზი.

მსუქანი ბავშვებისათვის განსაკუთრებით სასარგებლოა აქტიური სეირნობა, მოძრავი თამაშები, ზამთრობით თხილამურები, ზაფხულობით ცურვა. ყოველდღიური დილის ვარჯიში, სამკურნალო ფიზკულტურის ჩატარება.

მოსკოვი:

გეპატიჟებათ რესტორანი ფიროსმანი

„გარდა იმისა, რომ მოსკოვის უნივერსამებში არ არის ხორცი, ბოსტნეული და სხვა პროდუქტები, ძნელი მოსაძებნია კარგი რესტორანიც. არა, მაღალი კლასის რესტორნებს რა უშავთ, მაგრამ ძალზე ხმაურიანია. არც ოფიციანტები არიან მაინც და მაინც კლასიკურ დონეზე მომზადებულნი და თავად რესტორნები ხომ მეტწილად დიდ გამოქვაბულებს წააგავს..

სამაგიეროდ, შესანიშნავად გიმასპინძლებენ ახალი ტიპის, პერესტროიკის პირმშო, კოოპერატიური რესტორნები. აქაური სერვისით უთუოდ კმაყოფილი დარჩებით. აქვე შეგახსენებთ, თუ მაგარი სასმელები გსურთ თავად უნდა მიიტანოთ (ამ რესტორნებს ალკოჰოლის გაყიდვაზე ლიცენზიები არა აქვთ).

შეგიძლიათ ეწვიოთ უცხოელი და ადგილობრივი ბიზნესმენების ერთობლივ რესტორნებს!

უპირველეს ყოვლისა—რესტრანს „ფიროსმანთან“!

მოსკოვში არსებულ ახალი ტიპის რესტორანთა შორის ამ რესტორანს უდავოდ საუკეთესოდ მიიჩნევთ. კერძები, რა თქმა უნდა, ქართულია. შეგიძლიათ მიირთვათ მარილიანი და მჟინტი ყველი, ხაჭაპური, ტრადიციული სანელებლებით შეკაზმული საჭმელები, ცვრიანი მწვადი და სხვა.

მისამართი?

ინებეთ: „ნოვოდევინი პასაჟ 4“.

გილოცავთ

ლელა ველას ასულ ახვლედიანს
გია ჟორას ძე ნემსწვერიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. გამრავლდით და გაიხარეთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ნანი, თამაზ ჩიქოვანები.

ნანა გივის ასულ ბენიძეს
ჯაბა ჟორას ძე ბიწაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთმა გაგამრავლოთ. სიხარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

ნანი, ომარ, ლევან, ზურიკო ბენიძეები.

ფიქრია მურმანის ასულ თვარაძეს
გოჩა ალექსანდრეს ძე ალავიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული და სიყვარული ნუ მოკლებოდეს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს.

ალპანის სამკერვალო ფაბრიკის თანამშრომლები.

ნანი გურჯანის ასულ ფრუიძეს
ზაურ ვალოდიას ძე მეგრელს

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იმრავლეთ, იდღეგრძელეთ.

ალპანის სამკერვალო ფაბრიკის თანამშრომლები.

ნინო შოთას ასულ ლაფაჩიანს
ვახტანგ მიხას ძე მუშკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას, სიხარული, სიყვარული და სიკეთე ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

ცაგერის სახდაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები.

გილოცავთ

ზაურ, ლია, ცუცია ახვლედიანებს

გილოცავთ ნატოს ბედნიერებას. სიხარული და სიკეთე ნუ მოგკლებოდეთ.

შალვა მანაგაძე ოჯახით.

ციური (ფათქუ) გრიშას ასულ მურცხვალაძე-უგრეხელიძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. სიხარული და ჯანმრთელობა იყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. ღმერთი იყოს თქვენი ოჯახის მფარველი.

საშა, ჟუჟუნა, ეთერ, ქეთო, დომნა, ბიქტორ უგრეხელიძეები ოჯახებით.

ფიქრია კორნელის ასულ მეშველიანს
მარინე რუბენის ასულ დავითულიანს

გილოცავთ დაბადების დღეს, ულევი სიხარული და ბედნიერება ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მეგზური.

ირმა, ქეთინო ლიპარტელიანები, ნინო და ალუდა თუთისანები.

მალხაზ, ნანა, მაია ბენიძეებს, ცაცა სვანიძეს

გილოცავთ შვილის, ძმისშვილის და შვილიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ ერის სასახელო შვილი. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ჯემალ დავითულიანი, ოთარ, გიგა თუთისანშვი, სეითო ქომეთიანი, ამირან, ჯიმშერ, გიური ხაბულიანები, გურამ კოპალიანი ოჯახებით.

ანეტა, ლელა, ლევან ჩიქოვანებს

გილოცავთ ლალის და კარლოს ბედნიერებას. ვუსურვებთ ბედნიერ ცხოვრებას.

ჯენი, ნოე ელიანოვები ოჯახით.

ლევან, ლელა, ანეტა, ლია ჩიქოვანებს

გილოცავთ ლალის ბედნიერებას, დღეგრძელი და მზიანი გზით ევლოთ მთელი ცხოვრების მანძილზე.

შალვა მანაგაძე ოჯახით.

დავით კოპალიანს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. სიხარული, შეძენა, გამრავლება ნუ მოკლებოდეს თქვენს ოჯახს.

შალვა ცვარიანი, გელა ხვადაგიანი, ზაურ ბენიძე, გრიშა ჩიქოვანი, გურამ ხმელიძე.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

როგორც თქვენთვის ცნობილია, ქალაქ ცაგერის სასაფლაო შეივსო, უკვე თავისუფალი ადგილი აღარ არის მიცვალებულის დასასაფლავებლად, რაც ძალზე უხერხულ მდგომარეობას უქმნის ჭირისუფალს. არის წინადადება, ქალაქ ცაგერის სასაფლაო გამოცხადდეს დახურულად და შეირჩეს ახალი მიწის ნაკვეთი ყოფილი მეფრინველეობის ფაბრიკის ტერიტორიაზე, რადგან ქალაქ ცაგერში სასაფლაოს მიწის ნაკვეთის გამოყოფისათვის სხვა საშუალება არ არის.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი წინადადებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

ქალაქ ცაგერის საკრებულოს გამგეობა.

სანეპიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნარგიზა, გივი შკუბულიანებს სიძის

როინ ნემსწვერიძის

გარდაცვალების გამო.

განათლების განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლამარა ფანჯარაძეს დისშვილის

როინ ნემსწვერიძის

გარდაცვალების გამო.

ძმა თამაზი, რძალი ნათელა ქარსელაძე, ძმისშვილები ნინო, შორენა, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნანა ტრიფონის ასული ხეცურიანი.

დაკრძალვა 10 აგვისტოს, შაბათს, სოფელ ლაილაშში.

„ლეჩხუმი“ გამოდის
• სამშაბათს
• ხუთშაბათს
• შაბათს

ჩვენი მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №58 ტელეფონები: რედაქტორის — 22-81, რედაქტორის მოადგილის—22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების —22-86, მშრომელთა წერილების განყოფილების —22-41, სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობო საამქროს —22-23

შეკვეთა №92 ტირაჟი—454

რედაქტორი ნ. ნიმსაძე

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.